**მაია ფირჩხაძე**[1]
*იტალიური სკოლა „ცისკარი“/ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.57

# პროცესზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის უმაღლეს სასწავლებლებში

**აბსტრაქტი.** სწავლება რთული პროცესია, მაგრამ სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესის შემთხვევაში შესაძლებელია ეფექტური შედეგების მიღწევა. მასწავლებლებს და მასწავლებელთა განათლებაზე პასუხიმგებელ პირებს შეუძლიათ გარკვეული ინოვაციური ქმედებები განახორციელონ ამ მიმართულებით და სასწავლო პროცესის ყველა მონაწილისთვის განვითარების თანაბარი პირობები შექმნან. მათ შორისაა პროცესზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება და ისეთი ასპექტების წინ წამოწევა, როგორიცაა: დემოკრატიული დამოკიდებულებებისა და ქცევის მოდელირება; დემოკრატიული პროცესები სასწავლო გარემოში, თანამშრომლობითი სწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლა და მომსახურების სწავლა.

ამ მეთოდების გამოყენებისთვის აუცილებელი არ არის გარე ინსტიტუციონალური ინტერვენცია და მხარდაჭერა, მთავარი სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებაა. მასწავლებლებსა და მომავალ მასწავლებლებს შეუძლიათ ორიენტაცია გააკეთონ იმ სასწავლო პროცესის სტრუქტურაზე, რომელსაც ისინი წარმართავენ, ან სთავაზობენ მოსწავლეებს. მთავარია აქცენტირება სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე, ეფექტიანობაზე და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვაზე.

ამავე დროს, მიზნების, შინაარსის, სასწავლო მასალის, შეფასებისა და პროგრამის შეფასების ერთობლივი დაგეგმვა, ჰოლისტური მიდგომების გამოყენება სწავლებისა და შეფასების პროცედურებს შორის და მათ შესა-

---

[1] **მაია ფირჩხაძე,** ისტორიის დოქტორი, იტალიური სკოლა „ცისკარის“ მენტორი მასწავლებელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ხებ სასწავლო პროცესის მონაწილეებ შორის შეთანხმება ცვლის ტრადიციულ ურთიერთობებს და ქმნის ახალს, აფართოებს ფუნქციებს და სხვა სიმაღლზე აყავს ის. ესაა აქტიური თანამშრომლობა და კონსტრუქტივიზმი, რომელიც პედაგოგსა და სტუდენტს (მასწავლებლესა და მოსწავლეს) შორის სწორი ურთიერთობებით უფრო მივიღეთ, ვიდრე კურიკულუმების დანერგვის გზით. ჰუმანისტური კომპონენტების გააქტიურება კი უსაფრთხო სასწავლო გარემოს უმთავრესი პირობაა.

აღნიშნული პრაქტიკის ეფექტიანობას, სტუდენტთა კომპეტენციებსა და მათი მომზადების ხარისხს ადგენს პრაქტიკული კვლევა, რომელიც ასევე გვიჩვენებს მასწავლებლების მზაობას, საკუთარი ღირებულებები გადაიტანონ პრაქტიკაში, უკეთ შეიცნონ საკუთარი თავი, მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარი პროფესიული და პიროვნული იდენტობისა და საკუთარი ინდივიდუალური და პროფესიული მიზნების შესახებ. ამ მიზნით 2019 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსტიტეტში განვახორციელეთ ტოლერანტობის დონის დამდგენი კვლევა, რომელშიც შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე მონაწილეობდა განათლების ფაკულტეტის 50 სტუდენტი. კვლევის კონკრეტული მიზანი და ამოცანა: 1) ტოლერანტობის დონის დადგენით პროცესზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის ხელშეწყობა, მით უფრო იქ, სადაც მომავალ პედაგოგებს ამზადებენ; 2) ამ მიმართულებით (პროცესზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის) ეფექტური შედეგების მისაღებად პრაქტიკული რეკომენდაციების შეთევაზება. კვლევისას მეთოდებად გამოვიყენეთ: ანკეტირება, საუბარი და დაკვირვება.

კვლევამ აჩვენა, რომ ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში დემოკრატიული დამოკიდებულებებსა და ქცევის მოდელირებაზე აქცენტირება მნიშვნელოვნად გაზრდის უსაფრთხოების კოეფიციენტს. ამ მიმართულებით შეთავაზებული იქნა გარკვეული რეკომენდაციებიც, რომელიც ასევე დადებითად მოქმედებს სწავლა-სწავლების ეფექტიანობაზე.

მსგავსი კვლევები, შესაბამისი სტურქტურული ცვლილებები, პროცესზე ორიენტირებული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება უსართხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის კრიტიკული გააზრების საშუალებას გვაძლევს, არამედ დადებითად აისახება სტუდენტთა მიღწევებსა და ურთიერთობებზე, რაც თავისთავად, დამოკი-

დებულებებისა და ღირებულებების კრიტიკულ შეფასებას და ეფექტიანი შედეგების მიღწევას უწყობს ხელს.

***საკვანძო სიტყვები:*** უმაღლესი სასწავლებელი, პროცესი, მეთოდები და მიდგომები, უსაფრთხო გარემო, დამოკიდებულებები, უნარები, კრიტიკული გააზრება, სტუდენტთა მიღწევები.

**Maia Pirchkhadze**[2]

*Italian School „Tsiskari“ / Sokhumi State University*

## Application of Process-oriented Methods and Approaches to Creating a Safe Environment in Higher Education Institutions

**Abstract.** Teaching is a complex process, though the effective results can be achieved by properly planned lraining process. Both teachers and persons responsible for teachers' education can take some innovative actions in this direction. They can create equal development conditions for all participants of the educational process including both process-oriented methods and approaches and the promotion of aspects such as: modeling democratic attitudes and behavior; democratic processes in the learning environment, cooperative learning; Project-based learning and service learning.

These methods do not require either external institutional intervention or support. However, the most important is to organize learning process properly. Both teachers and prospective teachers must be focused on the structure of the learning process, which they are going to lead or offer to students. The main thing is to be concentrated on the effectiveness, efficiency and the observance of the principle of impartiality.

At the same time, goals, content, learning material, joint planning of assessment and program evaluation, the use of holistic approaches between teaching and assessment procedures and their agreement with the participants of the learning process, change the traditional relationships and create new ones, expanding functions, which takes the process to a completely different height. This is an active cooperation and constructivism, which we will achieve through the right relationship between the teacher and the student rather than through the implementation of only curricula. Activation of humanistic components is the main condition of a safe learning environment.

Practical research determines the effectiveness of the mentioned practice, students' competencies and the quality of their training process. The above mentioned research

[2] **Maya Firchkhadze**, doctor of history, mentor teacher of the Italian school "Tsiskari", guest lecturer of Sukhumi State University.

also shows us the willingness of teachers whether they are ready to put all of their values into practice or not. It shows us the way how to get to know themselves better as well as get more information about both their own professional and personal identity and their individual and professional goals. For this purpose, in 2019, in Sukhumi State University, we conducted a study determining the level of tolerance. Fifty students participated in the study hold on the basis of a random principle.
The specific aim and task of the research was: 1) to promote both formation of the space identifying tolerance level on the process and creation of a safe environment. During the research process we were especially focused on that environment, where future teachers were trained. 2) To make practical recommendations in order to obtain effective results in the above mentioned direction (to promote both formation of the space identifying tolerance level on the process and creation of a safe environment). In the research process, we used questionnaire, conversation and observation.
Research has shown us, that focusing on modeling democratic attitudes and behavior in daily learning practices will significantly increase the factor of safety. In this direction, we have made several recommendations, which also have a positive effect on the effectiveness of both teaching and learning processes. Such studies, including appropriate structural changes and the use of process-oriented approaches and methods, creating safe learning environments, enable us to understand critically the attitudes, skills and knowledge of both teachers and students, as well as improve student achievement and have a positive impact on their relationships, facilitating both critical evaluation of values and the achievement of effective results.
***Keywords:*** higher education, process, methods and approaches, safe environment, attitudes, skills, critical thinking, student achieveme.

ძირითადი კვლევა. სწავლება რთული პროცესია, მაგრამ სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესის შემთხვევაში შესაძლებელია ეფექტური შედეგების მიღწევა. მასწავლებლებს და მასწავლებელთა განათლებაზე პასუხიმგებელ პირებს შეუძლიათ გარკვეული ინოვაციური ქმედებები განახორციელონ ამ მიმართულებით და სასწავლო პროცესის ყველა მონაწილისთვის განვითარების თანაბარი პირობები შექმნან. ასეთ ინოვაციურ აქტივობებს მიეკუთვნება პროცესზე ორიენტირებული მეთოდების და მიდგომების გამოყენება, რომელიც გულისხმობს ისეთი ასპექტების წინ წამოწევას, როგორიცაა: დემოკრატიული დამოკიდებულებებისა და ქცევის მოდელირება; დემოკრატიული პროცესები სასწავლო გარემოში; თანამშრომლობითი სწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლა და მომსახურების სწავლა (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, რედ. 2018 : 50).

ამ მეთოდების გამოყენებისთვის აუცილებელი არ არის გარე ინსტიტუციონალური ინტერვენცია და მხარდაჭერა. მთავარი სასწავლო გარემოს მოწყობის ძირითადი პრინციპების დაცვაა, როგორიცაა სისტემატურობა, ინკლუზიურობა, ღირებულებებზე ორიენტირება, გარემოზე ზრუნვა, ტოლერანტობა, სოციალიზაცია, ძალადობის პრევენცია, ძირითადი სივრცეების მოწყობა, ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებ, შესაძლებლობებზე კონცენტირება (გორგოძე, ჯანაშია, ანდღულაძე,მოსიაშვილი, კეჭაყმაძე 2012 :117-156). შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის გადაჭრის გზა სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებაა, რაც გულისხმობს: 1) ორიენტაციას იმ სასწავლო პროცესის სტრუქტურაზე, რომელსაც წარმართავენ, ან სთავაზობენ საზოგადოებას; ბ) ორიენტაციას სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე, ეფექტიანობაზე და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვაზე; გ) ორიენტაციას გააზრებულ სწავლაზე, რო-მელიც, თავის მხრივაც, გულისხმობს თანხმობის საფუძველზე აგებულ ურთიერთობას.

პროცესზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება ეხმარება უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებსა და პროფესორ/მასწავლებლებს საკუთარი ღირებულებები გადაიტანონ პრაქტიკაში, უკეთ შეიცნონ საკუთარი თავი როგორც პიროვნებებმა და როგორც მასწავლებლებმა (ან თუნდაც მომავალმა მასწავლებლებმა), მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარი პროფესიული და პიროვნული იდენტობის, საკუთარი ინდივიდუალური და პროფესიული მიზნების შესახებ და ამ გზით შექმნან უსაფრთხო გარემო როგორც სწავლის ხარისხის რეალური გარანატი.

საგანმანათლებლო პროცესზე ორიენტირება და უსაფრთხო გარემოს სტრუქტურირება გულისხმობს პედაგოგიური მეცნიერებისა და საგნმანათლებლო პრაქტიკისთვის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის გააქტიურებასაც, როგორიცაა ტოლერანტობა (ლათ. Tolerantia - შემწყნარებლობა). ტოლერანტობა დღეს პედაგოგების, ფილოსოფოსების, ფსიქიატრების, პოლიტოლოგების და სხვა სამეცნიერი დისციპლინების შესწავლის საკითხია. თანამედროვე ეტაპზე მას მულტიკულტურალიზმის სინონიმადაც განიხილავენ, რადგან ტოლერანტობა უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის ფართო დიაპაზონის საშუალებას იძლევა. ტოლერანტობა განსხვავებული მსოფლმხედველობის ან ცხოვრების წესის მიღებას გულისხმობს, რომელიც მოიცავს ადამიანის თავისუფალი არჩევანის მხოლოდ ზოგადი უფლების პატივისცემას და არა რომელიმე კონკრეტული არჩევანის პატივისცემას, სხვებისთვის უფლების მიცემას, იცხოვრონ თავიანთი ინდივიდუალური მსოფლმხედველობის შესაბამისად (Declaration of Principles on Tolerance 1995: მუხლი 4,5). ამ თვისებისა და წესის გარეშე ძნელია ისაუბ-

რო საგანმანათლებლო სივრცის უსაფრთხოებაზე და სტრუქტურულ გამართულობაზე, მისი ფორმირებისათვის აუცილებელი პროცესზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებაზე.

სამეცნიერო-მეთოდურ ლიტერატურაში ტოლერანტობა იყოფა სპეციფიურ მიმართულებად, რომელიც ხელს უწყობს ტოლერანტული ცნობიერების გამოვლენას და არასპეციფიურ მიმართულებად, რომელიც აღწერს პიროვნების უნივერსალურ მახასიათებლებს და პიროვნებათშორის ურთიერთობებს, რომელიც თავის მხრივ ტოლერანტობის გამოვლენის საფუძველსაც წარმოადგენენ (ხელს უწყობს ინტოლერანტულობის გამოვლენას) (ბერეკაშვილი, მშვიდობაძე და სხვები 2005: 5 - 8). აღნიშნული პრაქტიკის ეფექტიანობას და ამ მიმართულებით სტუდენტთა კომპეტენციებსა და მათი მომზადების ხარისხს ადგენს ტოლერანტობის პრაქტიკული კვლევა, რომელიც გვიჩვენებს მასწავლებლების და მომავლი მასწავლებლების მზაობას, საკუთარი ღირებულებები გადაიტანონ პრაქტიკაში, უკეთ შეიცნონ საკუთარი თავი, მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარი პროფესიული და პიროვნული იდენტობისა და საკუთარი ინდივიდუალური და პროფესიული მიზნების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული გარემოს ტოლერანტობის დონის დადგენა, შემდეგ კი მის ფორმირებაზე სათანადო ზრუნვა წარმატებული და უსაფრთხო გარემოს ფორმირების მნიშვნელოვანი პირობაა.

ამ მიზნით პედაგოგიურ მეცნიერებაში გამოიყენება სხვადასხვა ვალიდური მეთოდები, კომპლექსური სადიაგნოსტიკო ანკეტები, რომლებიც მოიცავენ ცოდნის, მოტივაციის, საქმიანობისა და რეფლექსიის კრიტერიუმებს. ეს ბუნებრივია, რადგან ტოლერანტობის მრავლგვარობა და მისი როგორც ღირებულების ფორმირების ეტაპობრიობა თავისთავად იწვევს ცალკეული კრიტერიუმების გამოყოფას და ინტეგრირებულ შეფასებას.

ჩვენი კვლევისათვის, რომელიც 2019 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ჩავატარეთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევანი შევაჩერეთ ტოლერანტობის კვლევის ადაპტირებულ და ინტეგრირებულ მეთოდებზე, უფრო სწორად, ე.წ. მეთოდურ კომპლექსებზე. რაც შეეხება კვლევის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს, რადგან პედაგოგიური ტოლერანტობა ზოგადად განიხილება როგორც პიროვნების ინტეგრირებულობის ხარისხი, ჩვენც კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ტოლერანტობის არასპეციფიური მიმართულება.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ტოლერანტობის კვლევის შესახებ პრაქტიკულად მცირე მასალები მოიპოვება. არ არის შემუშავებული არც ანალიზისა და დასკვნების გაკე-

თების ერთიანი მიდგომები. შესაბამისად, აუცილებელია არამარტო არსებული მეთოდური მიმართულებების სრულყოფა, არამედ მათი შექმნაც და ახალი პროექტული ინსტურმენტების აპრობაციაც, რომელიც არსებითად გაზრდის კვლევის შედეგების საანდოობას და კარგ საშუალებას მოგვცემს ინტერპრეტაციისათვის და ტოლერანტული შემეცნების გაგებისათვის. საბოლოო ჯამში კი დაგვეხმარება უსაფრთხო სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.

კვლევაში შემთხვევითი პრონციპის საფუძველზე მონაწილეობდა განათლების ფაკულტეტის 50. კვლევის კონკრეტული მიზანი და ამოცანა: 1) ტოლერანტობის დონის დადგენით პროცესზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის ხელშეწყობა, მით უფრო იქ, სადაც მომავალ პედაგოგებს ამზადებენ; 2) ამ მიმართულებით (პროცესზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხო გარემოს ფორმირებისთვის) ეფექტური შედეგების მისაღებად პრაქტიკული რეკომენდაციების შეთევაზება. კვლევისას მეთოდებად გამოვიყენეთ: ანკეტირება, საუბარი და დაკვირვება.

კვლევის მეთოდური აღწერილობა:

| **დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი** | **დამახასიათებელი თავისებურებები** | **გამოყენების ფორმა - ორიენტირებულია კონკრეტული დავალების შესრულებაზე** |
|---|---|---|
| ანკეტა ტოლერანტობის დონის დასადგენად (ადაპტირებული) | შეიცავს კითხვებს, მათგან შეკითხვების I ჯგუფზე პასუხის გაცემისთვის საჭიროა ტოლერანტობის არსის გაგება, მოთმინებასა და ტოლერანტობას შორის განსხვავების დანახვა და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენების უნარი; II ჯგუფის შეკითხვები ეხება კვლევის ჯგუფის დამოკიდებულებას | ტესტი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ტოლერანტობის როგორც ინტეგრირების ხარისხი თავისი ყველა გამოვლინებით და სირთულით - ცოდნის, მოტივაციის, საქმიანობისა და რეფლექსიის კრიტერიუმების ჩათვლით |

| | | |
|---|---|---|
| | ღირებულებებთან - მათ შეხედულებებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე და პრიორიტეტულ ღირებულებებზე, ასევე ღირებულებების საფუძვლებს, რომელთაც ეფუძნება პიროვნებათაშორისი ურთიერთობები. | |
| **I ჯგუფის კითხვები მოიცავს შემდეგ კითხვებს** | 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 20; 21; 22; 23; 25; 26 | |
| **II ჯგუფის კითხვები მოიცავს შემდეგ კითხვებს** | 1; 2; 3; 14; 15; 16; 17; 18; 19; 24; 27; 28. | |

ტოლერანტობის დონის დასადგენი ანკეტის საფუძველზე შექმნილ კითხვარში *(იხ. დანართი 1)* შეკითხვების I ჯგუფი მიუთითებს, თუ რამდენად ესმით კვლევის ჯგუფის წევრებს ტოლერანტობის არსი, აქვთ თუ არა გააზრებული ეს საკითხი, შეუძლიათ თუ არა განასხვავონ მოთმინება და ტოლერანტობა ერთმანეთისგან და გამოიყენონ ცხოვრებისეულ სიტუაციებში (Безотечество 2014:22-28)

**მიღებული შედეგები:** N4 კითხვის შედეგი მიუთითებს, რომ საკვლევი ჯგუფის წევრებს არეული აქვთ ცნებები, არ ესმით საკითხის არსი, არ აქვთ გააზრებული, რას ნიშნავს ტოლერანტობა, უჭირთ განასხვავონ ერთმანეთისაგან მოთმინება და ტოლერანტობა, „თავისუფალი არჩევანი“ და „მოთმინება“ ერთ დონეზე აქვთ დაყენებული, „შეურიგებლობის“ და „სოლიდარობის“ მიმართაც ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ, „პასუხისმგებლობა“, „ინტელექტუალური შესაძლებლობები“ და „ინიციატივიანობა“ სხვადასხვა ველში განათავსეს და „თავისუფლებისმოყვარეობა“, „პატრიოტიზმი“ და „თავისუფალი არჩევანი“ - სხვადასხვაგან, თუმცა N: 5, 6, 7, 8 შეკითხვების მიხედვით ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ საქმიანობაში მაინც შეუძლიათ იყვნენ „კომუნიკაბელურები“, აწარმოონ „დიალოგი“ და პრაგმატული მიზნების მიუხედავად დაამყარონ ნორმალური ურთიერთობები საზოგადოების წევრებთან.

შედარებით დამაფიქრებელია N 9 შეკითხვის პასუხები, რადგან საკვლევი ჯგუფის წევრები კონფლიქტს მიიჩნევენ უფრო მეტად „თვითგამოხატვის, თვითდამტკიცების საშუალებად“, რაც მათ „კომუნიკაბელურობას“ ეჭვქვეშ აყენებს; შედეგების მიხედვით, ჯგუფის წევრების მეგობრული ურთიერთობების საფუძველი მეტწილად არის „მორალური“ შეხედულებების ერთიანობა და არა „შეხედულებებისა და პოზიციების მსგავსება“ (შეკითხვა N10), უცხო ადამიანების მიმართ საკმაოდ „ფრთხილნი“ არიან და უფრო მეტად „ცნობსმოყვარეობა“ ამოძრავებთ, ვიდრე მიმღებლობისა და „კეთილგანწყობილების“ პოზიცია (შეკითხვა N11); ამავე დროს მაქსიმალურად ცდილობენ „სხვების აზრის გაზიარებას“ და ფიქრობენ, რომ შეუძლიათ „სხვებთან ურთიერთობა“ (86%) (შეკითხვა N12,13), რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ „მოთმინებასა“ და „ტოლერანტულობას“ შორის ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას, რადგან მათი წინა პასუხები სხვა მოლოდინებზე მიუთითებს.

ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს N20 შეკითხვის პასუხებიც, რომლის მიხედვით, პიროვნებათაშორისი ურთიერთობები მათ კოლექტივში, ჯგუფში „არც ისე მეგობრულია“ (55%), რასაც ადასტურებს N 21 შეკითხვის შედეგებიც - მათი ჯგუფი, კოლექტივი არ არის დაცული კონფლიქტებისგან (62%) და ამ პრობლემატიკას მეტწილად იწვევს ზნეობრივი, სულიერი შეუთანხმებლობა (48%); N 23 შეკითხვის მიხედვით კონფლიქტის გადაჭრას საკვლევი ჯგუფი ახერხებს „კომპრომისისა და მოლაპარაკების გზით“ (64%); ამ პოზიციას ამყარებს N 26 შეკითხვის პასუხებიც, რომლის თანახმად, ცხოვრებისეულ სიტუაციებში ისინი პიროვნულად დადებითად მოქმედებენ გარშემომყოფებზე (ზოგადი 79%). მოცემული მომენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მიუხედავად ცნებების აღრევისა და საკითხის მიმართ ბოლომდე გაუზარებელი დამოკიდებულებისა, ჯგუფის წევრებს აქვთ უნარი, ცხოვრებისეულ სიტუაციებში თავიანთ გარშემო შეძლონ ტოლერანტული და უსაფრთხო გარემოს ფორმირება.

რაც შეეხება შეკითხვების II ჯგუფს: ისინი ეხება საკვლევი ჯგუფის დამოკიდებულებას ღირებულებებთან - მათ შეხედულებებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე და პრიორიტეტულ ღირებულებებზე, ასევე ღირებულებების საფუძვლებს, რომელზედაცაა დაფუძნებული პიროვნებათაშორისი ურთიერთობები (Безотечество 2014 : 22-27).

N: 1, 2 შეკითხვების მიხედვით საკვლევი ჯგუფის წევრებს საკმაოდ გამოკვეთილი აქვთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და პრიორიტეტული ღირებულებები, თუმცა „დიალოგისა და კომპრომისისთვის მზადყოფნა“ მაინც მხოლოდ 17 %-ში შეინიშნება, ესეც იმიტომ, რომ დიალოგსა

და კომპრომისზე წინ საზოგადო ღირებულებებს აქვთ დაყენებული. ამგვარი დამოკიდებულება რომ შემთხვევითი არაა, ამას ადასტურებს N14 შეკითხვის პასუხებიც, რომლის თანახმად, ტოლერანტობას უფრო მეტად შეესაბამება „ღირებულებების აღიარება“ (45%) და არა „ცხოვრების პრინციპი“ (30%), ან „პიროვნული თვისებები“ (25%).

რეფლექსიის თვალსაზრისით, აქაც შეინიშნება გაუაზრებელი დამოკიდებულება ღირებულებებისა და ტოლერანტობის მიმართ, რადგან N15 შეკითხვის მიხედვით, ტოლერანტობა არის „ნებისმიერი ადამიანის მიმართ პატივისცემა, მიუხედავად მის მიმართ შენი დამოკიდებულებისა“ (62%), რომელ ორიენტირზეც მიუთითებს მომდევნო შეკითხვების ანალიზიც (შეკითხვა N 16, 17, 18), რაც წინააღმდეგობაშია ზემოთქმულთან.

კვლევის ჯგუფი ტოლერანტობის ფორმიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ნაციონალურ და სოციალურ ტოლერანტობას (ეს უკანასკნელი დაადასტურა N 27 შეკითხვამაც, სადაც სოციალური ტოლერანტობის პრობლემის არსებობა დააფიქსირა 82 %-მა), საინტერესოა N 24 შეკითხვის ანალიზიც, აქაც ტოლერანტობა ძირითადად განხილულია როგორც საზოგადოების მორალური ხარისხის მანიშნებელი (59%). საინტერესოა N 28 შეკითხვის პასუხებიც, რომლის მიხედვით საკვლევ ჯგუფს არ აქვს ბოლომდე გააზრებული ცნება „ტოლერანტობა“, რადგან ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არატოლერანტულობის მიზეზად უფრო მეტად მიაჩნევენ ცხოვრების წესსა და სტილს შორის სხვადასხვაობას (57%), ვიდრე „იდეურ სხვაობას“ (19%). და ეს მაშინ, როდესაც, ცოტა ზემოთ, ჯგუფის წევრებმა ძირითადი ყურადღება „გამახვილებული იყო“ „მორალური“ ერთიანობისა და მსგავსების აუცილებლობაზე.

ვფიქრობთ, დამაფიქრებელი შედეგებია. რეკომენდაციების დონეზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ სასწავლო აქტივობების მიგნებაც, რომელიც შედარებით ეფექტურ შედეგებს მოგვცემს. კონკრეტულად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში დემოკრატიული დამოკიდებულებებისა და ქცევის მოდელირების ჩართვა მნიშვნელოვნად გაზრდის უსაფრთხოების კოეფიციენტს. მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინება და სასწავლო პროცესის მიმართ ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს პროფესორ-მასწავლებლებს იხელმძღვანელონ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ღირებულებებით და საფუძვლიანად შეისწავლონ საკუთარი ღირებულებებიც; დაუკავშირონ საკუთარი პრაქტიკა ამ ღირებულებებს და საგანამანათლებლო სივრცეში განავითარონ ისეთი კომპეტენციები, როგორიცაა მულტიკულტურული ღირებულებები (ადამიანის ღირესებისა და უფლებების დაფასება, კულტურული

მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების, თანასოწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება, ემპათია, სხვა ადამიანის პატივისცემა და პოზიტიური დამოკიდებულება, მოსმენა და დაკვირვება განსჯის გარეშე; სხვების მიღებისათვის მზაობა; გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება) (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, 2018: 43-91)

სასურველია, დემოკრატიული პროცესები საერთო საგანამანათლებლო სივრცის ნაწილს წარმოადგენდეს. სტუდენტებმა ის შეიძლება მიიღონ აუდიტორიის სივრცეში (სასწავლო გარემოს ორგანიზებისა და და სწავლების პროცესში), როდესაც ხშირად უწევთ არჩევანის გაკეთება. გადაწყვეტილებას ამ დროს ძირითადად იღებენ ორი წესით: ა) ავტორიტარული წესით - პროფესორ/მასწავლებლის ან ყველაზე „ძლიერი“ და „საუკეთესო“ სტუდენტის მიერ, ან - ბ) დემოკრატიული პროცედურის დაცვით. დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებული გამოცდილების მიღებისას სტუდენტები გამოიმუშევებენ ზემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციებს და სწორად შეასრულებენ სათანადო აქტივობებს. ამგვარი სტუქტურული ცვლილებები დადებითად აისახება სტუდენტთა მიღწევებსა და მათ ურთიერთობებზე, რაც, თავის მხრივ, პროცესუალური შედეგების მიღწევას შეუწყობს ხელს (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, რედ. 2018: 63-77).

ადამიანებს შორის ურთიერთობებს ამყარებს და ახალისებს თანამშრომლობაც, იწვევს რა სხვების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებებსა და პატივისცემას. ამისთვის საჭიროა სწავლის პროცესის სტრუქტურის განსაზღვრა და მისი ორგანიზება თანამშრომლობის კონკრეტული პრინციპების საფუძველზე, რაც შემოთავაზებული სასწავლო აქტივობების შემოწმების, შეფასებისა და გაფართოების საშუალებას იძლევა. მაგალითად, პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას განამტკიცებს აქტივობა - „ყველამ უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი“ (ამ დროს ხდება არსებული ქცევის მოდელირება), ან „თანაბარი შესაძლებლობები“ (გამოირიცხება დისკრიმინაცია). მაგალითად, როდესაც პროფესორ-მასწავლებლებს შემოაქვთ თემა ჯგუფში განსახილვევლად, შედეგის გათვლა აქ ადვილია - ვინც უკვე ინფორმირებულები არიან თემის შესახებ, მოირგებენ „ლიდერის“ როლს და ძირითად საუბარს ისინი წარმართავენ, ხოლო ნაკლებად აქტიური, ან ინტროვერტი სტუდენტები (რომელთაც თემაც არ აინტერესებთ), ან ძალიან ცოტას ისაუბრებენ, ან საერთოდ არ მიიღებენ მონაწილეობას. ამ დროს შესაძლებელია დავავალოთ ჯგუფებს, რომ მონაწილეებმა ერთმანეთს ჩამოართვან ერთწუთიანი ინტერვიუები თემის შესახებ. ამგვარი მიდგომით ყველა სტუდენტი აქტიურად ჩაერთვება მუშაობაში,

გამოუმუშავდებათ ისეთი კომპეტენციები, როგორიცაა  სხვების შეხედულებებისა და მოსაზრებების მიღებისათვის მზაობა; საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობა; ემპათია  და სხვისი აზრების, რწმენებისა და გრძნობების აღქმა-გაგება; მოქნილობა და შეგუების  უნარი; თანამშრომლობის,  კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევა; საკუთარი  თავის  კრიტიკულად  შეცნობა-შემეცნება და სხვ (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, რედ. 2018 : 65)

უსაფრთხო გარემოს ფორმირებას  ხელს უწყობს პროექტული სწავლებაც. მისი  გამოყენება  შესაძლებელია ერთ  ან რამდენიმე  საგანში ერთად, რა დროსაც პროექტის საგანს გამჭოლი საკითხი წარმოადგენს. მაგალითად,  როდესაც პროექტი მოიცავს ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას, სტუდენტებს გამოუმუშავდებათ მრავალფეროვნების დაფასების, განსხვავებულობის მიღების უნარ-ჩვევა და სა-თანადო ღირებულებები და დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, 2018: 67).

მნიშვნელოვანია მომსახურების სწავლა - სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკულ ქმედებებში გამოხატონ აუდიტორიებში შეძენილი ცოდნა და კრიტიკული გააზრების უნარები.  გასათვალისწინებელია, რომ მომსახურების სწავლა პროექტის საფუძველზე ორგანიზებული სწავლის ფორმას წარმოადგენს და პროექტზე მუშაობის მსგავსად, გარკეული ეტაპების ორგანიზებას გულისხმობს [ასეთია საზოგადოების საჭიროების შეფასება და შესაძლო  გაუმჯობესების ან ცვლილებების იდენტიფიცირება; შესასრულებელი სამუშაოსთვის მზადება, ინფორმაციის შეგროვება, საკითხის გადაჭრის  ალტერნატიული გზების მოძიება, სამუშაოს დაგეგმვა; კონკრეტული სამუშაოების განხროციელება, რომელიც  სტუდნეტის გამოცდილების გაფართოებას ემსახურება და ხელს უწყობს ღირებულებების,  დამოკიდებულებებისა და ცოდნის გაღრმავებას; განსაკუთრებული საჭიროების ჯგუფის წევრებთან უშუალო და პირდაპირი დახმარების გაწევა (მაგალითად, ხანდაზმულთათვის, ან ბავშვებისათვის  ღონისძების ორგანიზება); არაპირდაპირი დახმრების გაწევა ან ცვლილების შეტანა საზოგადოებაში (მაგალითად, სათამაშოების შეგროვება დაუცველი ბავშებისათვოს, სათამაშო მოედნის კედლის შეღებვა და სხვ); ცვლილებების ხელშეწყობა (მაგალითად, საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა, რათა იგი გაითვალისწინოს ადგილობრივმა  ხელისუფლებამ; გარკვეული რისკის შესახებ ადგილობრივი მოქალქეების გაფრთხილება ან მოქალაქეების  კონკრეტული ქცვის ცვლილების მხარდაჭერა და სხვ.);  შესრულებული სამუშაოს  შესახებ ანგარიშის წარდგენა საზოგადოებისათვის; სწავლის  მიმართულებით მიღებული გამოცდილების გაზიარება, სამუშაოს შეფასება, დასკვნების გამოტანა, რე-

კომენდაციების შემუშავება სამუშაოს ეფექტურობის გაზრდისთვის და სხვ.]. სტუდენტები ამ დროს იღრმავებენ: მოქალაქეობრივ აზროვნებას, პასუხისმგებლობას, სხვების მიღებისთვის მზაობას, ემპათიას, დაკვირვების უნარს, მსოფლიოს შეცნობა-შემეცნებას და კრიტიკულ გააზრებას, თავდაჯერებულობას, თანამშრომლობისა და კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევებს, მოქნილობისა და შეგუების უნარს, კულტურული განსხვავებულობისადმი შემწყნარებლურ მოსმენის უნარ-ჩვევას, საკუთარი თავის შეცნობასა და კრიტიკულ გააზრებას, საკუთარი ცოდნის გარდაქმნას გამოცდილების საფუძველზე (ნაცვლიშვილი, სილაგაძე, 2018: 67).

ამგვარი დამოკიდებულებით ჩვენ მივიღებთ გაცილებით ინკლუზიურ გარემოს, ღია ურთიერთობებს, არამხოლოდ ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებას, ანდა დაწესებულების მმართველობის ფორმას, არამედ როგორც ცხოვრების წესს, სასწავლო დაწესებულების ხასიათს, როგორც ჯ. დიუი იტყოდა „ასოციალური სამყაროს“, რომელიც დაფუძნებული იქნება ფართო კომუნიკაციაზე და ურთიერთზრუნვაზე (Gerhard Neuner, Contributors, 2012: 14 -15)

ვფიქრობთ, ახალი კურიკულუმების დანერგვასთან ერთად მოცემული კვლევის შედეგების გაზიარება, ურთიერთობების შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები და მასში ჰუმანისტური კომპონენტების გააქტიურება, ხელს შეუწყობს პროცესზე ორიენტირებული სივრცის ჩამოყალიბებას და უსაფრთხო გარემოს ფორმირებას უმაღლეს სასწავლებლებში, მით უფრო იქ, სადაც მომავალ პედაგოგებს ამზადებენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

**ანდღულაძე, მოსიაშვილი, კეჭაყმაძე (2012)** ნათია ანდღულაძე, თამარ მოსიაშვილი, ვანო კეჭაყმაძე. უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში. წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები. წიგნში: ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012. გვ.117-156. ხელმისაწვდომია https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4350/1/Usafrtxo_Skolis_-Gzamkvlevi.pdf

**ბერეკაშვილი, მშვიდობაძე და სხვები (2005)** ნანა ბერეკაშვილი, რუსიკო მშვიდობაძე, მანანა ჯავახიშვილი, თეა ლობჟანიძე, შორენა ლორთქიფანიძე, ირინა სულხანიშვილი. შ. ლორთქიფანიძე, რედ. 2005: ვქმნით ტოლერანტულ გარემოს. ტოლერანტობის სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების

საერთაშორისო ცენტრი ICCN. წიგნის რედაქტორი შ. ლორთქიფანიძე, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ (2005). ხელმისაწვდომია: http://www.iccn.ge/files/vqmnit_tolerantul-garemos_2005_geo_full.pdf

**გორგოძე, ჯანაშია, ანდღულაძე,მოსიაშვილი, კეჭაყმაძე (2012)** უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში. წინაპირობა, შედეგები და დამოკიდებულებები. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი. ავტორები: გორგოძე სოფიო, ჯანაშია სიმონ, ანდღულაძე ნათია, მოსიაშვილი თამარ, კეჭაყმაძე ვანო. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი;

**ნაცვლიშვილი, სილაგაძე, (2018)** ნათია ნაცვლიშვილი, თეონა სილაგაძე (რედაქტორები), დემოკატიული კულტურის კომპეტენციები და პედაგოგიკა. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო. ტ. 3. ევროპის საბჭო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი;

**Declaration of Principles on Tolerance (1995)** Declaration of Principles on Tolerance Proclaimed and signed by the Member States of UNESCO on 16 November; ხელმისაწვდომია https://www.oas.org/dil/1995%20Declaration%20of%20Principles%20on%20Tolerance%20UNESCO.pdf ბოლო ნახვა, 2021 წლის 12 მაისი.

**Gerhard Neuner, Contributors (2012)** Gerhard Neuner, Contributors, 2012: Intercultural competence for all.Preparation for living in a heterogeneous world. Gerhard Neuner ,The dimensions of intercultural education. Council of Europe Pestalozzi Series, No. 2. ხელმისაწვდომია https://rm.coe.int/intercultural-competence-for-all/16808ce20c

**Huber (2012)** Intercultural competence for all Preparation for living in a heterogeneous world, Series editor Josef Huber, Edited by Josef Huber, Contributors Francesca Brotto, Josef Huber, Katarzyna Karwacka-Vögele, Gerhard Neuner, Roberto Ruffino Rüdiger Teutsch. Council of Europe Pestalozzi Series, No. 2. Council of Europe Publishing F-67075 Strasbourg Cedex, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/intercultural-competence-for-all/16808ce20c

**Безотечество (2014(** Л. М. Безотечество. ФОРМИРОВАНИЕ ТОЛЕРАНТНОСТИ СТУДЕНТОВ – БУДУЩИХ ПЕДАГОГОВ В ОБРАЗОВАТЕЛЬНОМ ПРОЦЕССЕ ВУЗА: методические рекомендации / Л. М. Безотечество. – Красноярск, 2014. – 43 с. ხელმისაწვდომია:http://tolerance.sfu-kras.ru/files/metodicheskie_rekomendacii_1.pdf

დანართი 1

კითხვარი (ადაპტირებული)

**პიროვნების ტოლერანტობის დონის დასადგენად**

უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს: ა) მონიშნეთ რომელსაც ეთანხმებით; ბ) რანჟრების დროს მიანიჭეთ რიგის ნომერი (დანომრეთ ისე, როგორც საჭიროდ თვლით)

**1. რას გულისხმობთ „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებში“?**

ა) აბსულუტურ ღირებულებებს;

ბ) საყოველთაოდ მიღებულ, აღიარებულ წესებს, რომელიც ქმნის ზოგადად საზოგადოებას;

გ) საზოგადეოებისთვის დამახასიათებელ ზოგად ღირებულებებს;

დ) „საუკუნოვან“ ღირებულებებს;

ე) ჰუმანურობას, რომელიც განამტკიცებს ინდივიდებს შორის ადამიანურობას.

**2. იმ ღირებულებებს, რომელიც თქვენი აზრით, ზოგადსაკაცობრიოა, მიუწერეთ რიგობითი ნომერი (დანომრეთ):**

ა) დიალოგისა და კომპრომისისთვის მზადყოფნა;

ბ) მკვლევლობის აკრძალვა (აბსოლუტური მიუღებლობა);

გ) ახლობლის სიყვარული;

დ) თავისუფალი არვანის უფლება;

ე) მშობლების მიმართ პატივისცემა;

ვ) ქურდობის აკრძალვა (უარის თქმა);

ზ) ტუილზე უარის თქმა (ტყუილის აკრძალვა).

**3. დანომრეთ თქვენთვის მისაღები ღირებულებები პრიორიტეტულობის მიხედვით:**

ა) პატრიოტიზმი;

ბ) საზოგადოების მიმართ მიუღებლობაზე უარის თქმა (საზოგადოების, სოციუმის მიმღებლობა ანუ საზოგადოების, სოციუმის აღიარება თქვენს მიერ)

გ) უარის თქმა ძალადობაზე, როგორც პრობლემის გადაჭრის გზაზე; ბუნებაზე ზრუნვა;

დ) წარმოებისა და მოხმარების მუდმივი ზრდა ;

ე) მოთმინება.

**4. დანომრეთ, რა პიროვნული ნიშნის მიხედვით აფასებთ გარშემომყოფ ადამიანებს?**

ა) ინტელექტუალური შესაძლებლობები;

ბ) პატიოსნება და წესიერება;
გ) შეურიგებლობა;
დ) სოლიდარობა;
ე) თავისუფალი არჩევანი და პასუხისმგებლობის გრძნობა;
ვ) კეთილგანზწყობილება, მოთმინება სხვების მიმართ;
ზ) სამართლიანობა;
თ) პირველობის მოთხოვნილება;
ი) თავისუფლებისმოყვარეობა;
კ) პატრიოტიზმი;
ლ) ინიციატივიანობა.

**5. თვლით თუ არა თქვენს თავს კომუნიკაბელურ ადამიანად?**

ა) დიახ;
ბ) არა;
გ) არ ვიცი.

**6. თვლით თუ არა, რომ მეგობრული, არაფორმალური ურთიერთობები ხელს უშლის პროფესიული მოვალეობების შესრულებას?**

ა) დიახ;
ბ) არა;
გ) არ ვიცი.

**7. ურთიერთობის როგორი ფორმაა დაძლევადი თქვენს ცხოვრებაში?**

ა) საქმიანი ურთიერთობები, რომელიც მნიშვნელოვანია მოვალეობების შესასრულებად;
ბ) პიროვნული ურთიერთობები, რომელიც არ არის მიმართული პრაგმატულ მიზნებზე.

**8. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროცესში?**

ა) სხვების ხელმძღვანელობა;
ბ) დიალოგი;

**9. თქვენი აზრით, ყველაზე ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტი არის:**

ა) მიზნის მიღწევის საშუალება;
ბ) საშუალება, მიიტანო სხვამდე შენი აზრი;
გ) თვითდამტკიცების, თვითგამოხატვის ფორმა;

**10.გყავთ თუ არა ახლო მეგობარი? რას ემყარება თქვენი მეგობრობა?**

ა) შეხედულებების, პოზიციების მსგავსებაზე;
ბ) ერთმანეთის მორალური შეხედულებების აღიარება;
გ) თვითდამკვირებისკენ მისწრაფება.

**11. თქვენ გაიგეთ, რომ გელოდებათ ურთიერთობა სრულიად უცნობ ადამიანთან, რომლის შესახებ მანამდე არაფერი გსმენიათ. როგორი განწყობილება გეუფლებათ ამ დროს?**

ა) სიფრთხილე;

ბ) კეთილგანწყობილება;

გ) ეჭვი;

დ) სულერთია;

ე) ცნობისმოყვარეობა..

**12. როგორი ურთიერთობა გაქვთ სხვებთან?**

ა) ცდილობთ შეეწყოთ ერთმანეთის აზრის გაზიარების საფუძველზე;

ბ) ცდილობთ მოაქციოთ თქვენი შეხედულებების, თქვენი გავლენის ქვეშ.

**13. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ სხვებთან ურთიერთობა?**

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არ ვიცი.

**14. თქვენი აზრით, რომელი უფრო შეესაბამება ტოლერანტობას:**

ა) ღირებულებების აღიარება;

ბ) პიროვნული თვსიბები;

გ) ცხოვრების პრინციპი;

დ) ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

**15. რას ნიშნავს ტოლერანტობა როგორც ცხორების პრინციპი?**

ა) სხვების მიუღებლობას;

ბ) თანამარუფლებიან დიალოგს;

გ) კომპრომისისთვის მზადყოფნას;;

დ) ნებისმიერი ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოხატვა, მიუხედავად მის მიმართ შენი დამოკიდებულებისა;

**16. თქვენი აზრით, რომელი შეხედულება ეწინააღმდეგება ტოლერანტობას?**

ა) სხვის მიმართ ავტორიტარული დამოკიდებულება;

ბ) სხვა ადამიანის მიმართ უნდობლობა;

გ) სხვისი უფლებების არაღიარება;

დ) სხვისი დისკრიმინაცია;

ე) კონფლიტისადმი მიდრეკილება;

ვ) სხვისი უპატივცემულობა;

ზ) სხვისი მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა, თანაგანცდის არქონა.

**17. განიცდით თუ არა ტოლერანტობის ნაკლებობას სხვებთან ურთიერთობაში?**

ა) დიახ;
ბ) არა;
გ) არ ვიცი.

**18. ხართ თუ არა ტოლერანტული?**

ა) დიახ;
ბ) არა;
გ) არ ვიცი.

**19. ტოლერანტობის როგორი ფორმა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენს ცხოვრებაში:**

ა) სოციალური;
ბ) პროფესიული;
გ) ნაციონალურ-ეთნიკური;
დ) კონფესიური;
ე) რასობრივი;
ვ) სქესობრივი;
ზ) ასაკობრივი;
თ) ფსიქიკური, ემოციური;
ი) სულიერი.

**20. როგორ შეაფასებდი პიროვნებათშორის ურთიერთობას თქვენს კოლექტივში?**

**ა)** მეგობრული;
ბ) არც ისე მეგობრული;
გ) არამეგობრული.

**21. არის თუ არა კონფლიქტური შენი კოლექტივი (შენი საურთიერთობო წრე):**

ა) დიახ, ხშირად;
ბ) ხანდახან ასეც ხდება;
გ) არ ხდება, ან ძალიან იშვიათად.

**22. თუ მაინც ხდება კონფლიქტი, რა სახის პრობლემატიკა უდევს მას საფუძვლად:**

ა) სოციალური;
ბ) პოლიტიკური;
გ) ნაციონალურ-ეთნიკური;
დ) რელიგიური;
ე) ზნეობრივი, სულიერი.

**23. შენს კოლექტივში როგორ გადიჭრება კონფლიქტები:**

ა) კომპრომისის, მოლაპარაკებების, შერიგების გზით;

ბ) ურთიერთობათა გაწყვეტით;
გ) ურთიერთობების გაცივებით, დაშორებით (ზერელე ურთიერთობებში გადაზრდით);
დ) ხან როგორ, ხან -როგორ...

**24. თქვენს კოლექტივში ტოლერანტობის მიმართ როგორი დამოკიდებულებაა:**

ა) ტოლერანტობა ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, მისი მორალური ხარისხის მანიშნებელია;
ბ) ის უცილებელია ინდივიდის ინტერესების უზრუნველსაყოფად;
გ) უარყოფითი დამოკიდებულებაა;
დ) უმეტესობას სჯერა, რომ როცა გემტერებიან - უნდა ებრძოლო.

**25. უმეტესად როგორი ურიერთობებია დამახასიათებელი იმ საზოგადოებისთვის, რომლის წევრიც შენ ხარ?**

1) **სოციალურ ჯგუფებს/ფენებს შორის:**
ა) მეტწილად მეგობრული, ურთიერთგაგების;
ბ) მეტწილად მტრული, უნოდბლობის, არამეგობრული;
გ) არ ვიცი;

**2) სხვადასხვა ნაციონალურ ჯგუფებს შორის:**
ა) მეტწილად მეგობრული, ურთიერთგაგების;
ბ) მეტწილად მტრული, უნოდბლობის, არამეგობრული;
გ) არ ვიცი;

**3) სხვადასხვა კონფესიის წევრთა შორის:**
ა) მეტწილად მეგობრული, ურთიერთგაგების;
ბ) მეტწილად მტრული, უნოდბლობის, არამეგობრული;
გ) არ ვიცი.

**26. როგორ აისახება ახდენს კოლექტივზე თქვენი ურთიერთობები:**

1**) თქვენი სოციალური კუთვნილება:**
ა) უფრო მეტად დადებითად;
ბ) უფრო მეტად უარყოფითად;
გ) არ ახდენს გავლენას, ან ძალიან მცირე გავლენას ახდენს;

**2) თქვენი ეროვნული კუთვნილება:**
ა) ძირითადად დადებით;
ბ) ძირითადად უარყოფითად;
გ) ახდენს გავლენას, ან ძალიან მცირე გავლენას ახდენს;

**3) თქვენი რელიგიური შეხედულებები (რწმენა - ათეიზმი):**
ა) უფრო მეტად დადებითად;
ბ) უფრო მეტად უარყოფითად;

გ) ახდენს გავლენას, ან ძალიან მცირე გავლენას ახდენს;.

**27. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ტოლერანტულობა სხვა ჯგუფებთან ურთიერთობაში:**

1) ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით:

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არ ვიცი;

**2) სხვა ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირებით:**

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არ ვიცი;

**3) სხვა რელიგიურ ჯგუფთან დაკავშირებით:**

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არ ვიცი.

**28. როგორ ფიქრობთ, რა არის არატოლერანტულობის მიზეზი ადამიანთა სხვადსხვა ჯგუფებს შორის?**

ა) მათ შორის იდეური სხვაობაა;

ბ) მათ ცხოვრების სხვადასხვა სტილი, წესი აქვთ;

გ) მათ შორის ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა არსებობს.